საერთაშორისო დამკვირვებელმა საარჩევნო პროცესზე ისაუბრა



აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ყველა პროცესი კარგად მიმდინარეობს.
ამის შესახებ ინდონეზიიდან ჩამოსულმა საერთაშორისო დამკვირვებელმა იმანუელ რობერტ ინკირივანგმა ჟურნალისტებს განუცხადა.
აზერბაიჯანში პირველად ჩამოსულმა დამკვირვებელმააღნიშნა, რომ ის ხათაის რაიონის საარჩევნო უბანში იყო და იქაური სიტუაცია კარგად შეაფასა: "დილით ცოტა ხალხი მოვიდა. მაგრამ შუადღისთვის მათი რაოდენობამ იმატა. სადღაც 300-400 ამომრჩეველი მოვიდა. იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ საარჩევნო სიაში 1400 ამომრჩეველია, ეს ციფრი საკმაოდ დამაკმაყოფილებელია. ტექნიკურ მხარეს რაც შეეხება, ყველაფერი წესრიგში იყო. საერთო ჯამში შემიძლია ვთქვა, რომ პროცესი კარგად მიმდინარეობს. თანამშრომლები ძალიან მეგობრულები იყვნენ".

1 / 1